საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო სანდოძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	2	5
ქულათა ჯამი	**85**	**100**

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ნინო სანდოძის შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები ნინო სანდოძეს ახასიათებენ როგორც პატიოსან, კეთილსინდისიერ, კორექტულ და შეგნებულ პიროვნებად. ერთ-ერთი რეკომენდატორის შეფასებით, კანდიდატს ახასიათებს სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების შესრულებისას, არის სიმართლის მოყვარე ადამიანი.

ნინო სანდოძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ნინო სანდოძე პრინციპული, მტკიცე, შეუვალი, სამართლიანი, ზეგავლენის მიმართ მდგრადი და პოლიტიკურად ნეიტრალური პიროვნება. ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატს აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

საყურადღებოა საჯარო მოსმენის პროცესზე ნინო სანდოძის მიერ გამოხატული პოზიციები: კანდიდატმა ისაუბრა სასამართლოს მიმართ ხალხის კრიტიკული დამოკიდებულების მიზეზებზე და აღნიშნა, რომ ადრე არსებული კანონმდებლობა არ აძლევდა მოსამართლეებს ხშირ შემთხვევაში სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. კანდიდატმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებულების დაცვის მოტივით უმიზეზოდ გააჭიანურა

საქმის განხილვა. კანდიდატმა აღნიშნა, რომ ძველი კანონმდებლობის პირობებში დღესაც გაუჭირდებოდა განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული მიდგომა - რომ მოსამართლეს ,,უსამართლო" კანონის პირობებში არ გააჩნია არანაირი ბერკეტი სამართლიანობის მისაღწევად, არ შეესაბამება სამართლიანობის გაგებას/იდეას და სულ მცირე, კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობას.

ნინო სანდოძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ნინო სანდოძე არის გულისხმიერი, ზრდილობიანი, მოწესრიგებული, პუნქტუალური და დაკვირვებული პიროვნება. საჯარო გასაუბრებაზე კანდიდატი იყო თავაზიანი, მშვიდი, გაწონასწორებული.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ნინო სანდოძეს ახასიათებენ მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით პროფესიულ და სამოსამართლეო წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ნინო სანდოძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რომელიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ნინო სანდოძემ საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნის სათანადო დონე. კანდიდატმა ისაუბრა საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის შინაარსთან დაკავშირებით, განმარტა რა, რომ ხელისუფლების განხორციელებისას სახელმწიფო და ხალხი შებოჭილია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც წარუვალი ადამიანური ღირებულებებით. კანდიდატმა იმსჯელა უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოგერიების საკითხზე, მათ შორის განსხვავებაზე. ნინო სანდოძემ გაიხსენა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) და გამოყო მნიშვნელოვანი მიგნებები. კანდიდატმა იმსჯელა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე დაცვის მხარისგან განსხვავებით, ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობის საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა ცალკეულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა, რიგ შემთხვევებში შეკითხვებზე პასუხები არ იყო დამაკმაყოფილებელი (მაგალითად, მსჯელობა ანდერძის თავისუფლებისა და მემკვიდრეთა კონკრეტული ნიშნით შერჩევასთან, მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით).

აღსანიშნავია, რომ ნინო სანდოძე არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული განაჩენები, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ კანდიდატი სისტემატურად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებსა და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განაჩენში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. ნინო სანდოძის კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი კარგად განმარტავს სამართლებრივ ნორმებს და სწორად უფარდებს ფაქტობრივ გარემოებებს.

აღსანიშნავია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის

თანახმადაც, ნინო სანდოძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 96.3%-ს.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე და მოიხმო როგორც საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების, ასევე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. კანდიდატმა სრულფასოვნად იმსჯელა ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრების შესაძლებლობის შეზღუდვაზე სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში. მსჯელობისას კანდიდატი დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და განმარტა აღნიშნული ტიპის საქმეებზე ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი. გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრების უფლების შეზღუდვა კანდიდატმა ახსნა ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს მაღალი ლეგიტიმაციით.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა იმსჯელა სამართლის სხვადასხვა დარგიდან მნიშვნელოვან საკითხებზე, ზოგ შემთხვევაში კითხვაზე პასუხი იყო ზოგადი, გამოთქმული ვარაუდის დონეზე და არ იყო გამყარებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლითა და დასაბუთებით.

წერის უნარი: ნინო სანდოძემ წარმოადგინა 5 სამართლებრივი ნაშრომი, კერძოდ მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული სასამართლო განაჩენები. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ნინო სანდოძე წერილობით აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. კანდიდატი ავლენს წერის კულტურასა და სამართლებრივი ლექსიკის შესაბამის დონეზე ცოდნას.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის უნარი. ნინო სანდოძე საუბრობს გამართულად, მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს კარგი კომუნიკაციის უნარები, რაც თვალნათელი ხდება მის მიერ საგანმანათლებლო და სამოსამართლეო საქმიანობის განხორციელების დროს.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ნინო სანდოძეს ახასიათებენ როგორც პუნქტუალურ, გაწონასწორებულ და დაკვირვებულ პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატს აქვს მათემატიკის ცოდნა, რაც მას მატებს სიზუსტეს და სიღრმისეული ანალიზის უნარს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ნინო სანდოძეს საანგარიშო პერიოდში (986 დღე) დასრულებული აქვს 284 საქმე, დღეში საშუალოდ 0.3 საქმემდე. ამასთან, კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს, რაც მიუთითებს მის პუნქტუალურობასა და დისციპლინურობაზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 6-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიის, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს, ევროკავშირის სამართლის შესახებ და სხვ.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას. ნინო სანდოძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ნინო სანდოძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 85 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 17 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 17 ქულა;
   2.3.წერის უნარი - 17 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;
   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 3 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 2 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021